საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№3 (6795) 3 თებერვალი სამშაბათი 1998 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ „ლეჩხუმი“

გრძელდება ხელმოწერა გაზეთ „ლეჩხუმზე“ 1998 წლის პირველი ნახევრისთვის. გაზეთზე ხელმოწერის ფასია 4 ლარი. ხელმოწერა შეგიძლიათ გააფორმოთ „ლეჩხუმის“ რედაქციაში (ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა 9 საათიდან 18 საათამდე) ან შესაბამის სოფლის საფოსტო განყოფილებაში.

იჩქარეთ, ხელმოწერა შეზღუდულია.

გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქცია.

კავშირგაბმულობა

გიგო მუშკუდიანი: რამდენიმე წამში შეგიძლიათ მსოფლიოს ნებისმიერ ქალაქს დაუკავშირდეთ, რაც შეეხება ახლო სოფლებთან კავშირს...

ფოსტა, კავშირგაბმულობა ის დარგებია, რომლის გარეშეც ერთი დღეც არ გაგვეძლება. ასე რომ, ყველა დღე თქვენია, ძვირფასო მეგობრებო. მაგრამ რაკი ახალი წლის დასაწყისშივე, შობა, 7 იანვარია კავშირგაბმულობის დღედ მიჩნეული, გილოცავთ ამ პროფესიულ დღესასწაულს, წინსვლას და წარმატებებს გისურვებთ.

ახალ წელსა და პროფესიულ დღესასწაულთან ერთად დათვალიერებას ვულოცავთ ცაგერის „ელექტროკავშირის“ უფროსს ბიზო მუშკუდიანს და გასულ და ახალ წელს გაკეთებულ—გასაკეთებელზე მასვე ვუთმობთ საგაზეთო ტრიბუნას:

განსაკუთრებული ზეიმით აღინიშნა წელს 7 იანვარს საქართველოში ფოსტისა და კავშირგაბმულობის დღე, ზეიმი თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის შენობაში გაიმართა, რომლის დერეფნებში მოწყობილი გამოფენა—სტენდები კავშირგაბმულობის სისტემაში არსებულ მიღწევებს ასახავდა.

1998 წელს ჩვენი ძირითადი საზრუნავი უკვე მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ამაღლება და სოფლის სატელეფონო ქსელის მოდერნიზაცია იქნება, ყველა სოფელს უნდა ჰქონდეს კავშირი რაიონთან. ძალზე აქტუალურია თანამედროვე საერთაშორისო კავშირებიც—აღნიშნა საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრმა ფრიდონ ინჯიამ.

ამ მხრივ მაქვს უფლება, რომ ხმამაღლა ვთქვა, შარშან არც თუ ცუდად გვაქვს ნამუშევარი. ამის დასტურია ის, რომ ჩვენი რაიონი, სხვა რაიონებთან შედარებით ერთ-ერთი პირველია ქვეყანაში სოფლებთან კავშირების მიხედვით. სოფლის ყველა საკრებულოსთან გვაქვს კავშირი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა სოფელთან გვქონდეს კავშირი, რადგან საკრებულო რაიონში ქალაქის გარდა 14—ია და სოფელი კი სულ 57. ყველაზე მნიშვნელოვნად მიძაჩნია ის, რომ შარშან ლეჩხუმის ერთ-ერთი მაღალმთიანი სოფლის ნაკურალეშის მიმართულებით 20 კილომეტრი კაბელი გაკეთდა, რაც 20 ათასი ლარის ღირებულებისა მაინც იყო. სოფლებში ჩატარდა სატელეფონო ქსელის რემონტი. კერძოდ სოფელ ლაჯანაში მთელი საკაბელო სისტემა გარემონტდა და გამოსაცვლელი გამოიცვალა. ტელეფონების 90 პროცენტი აღდგენილია ლაჯანის უბანში. სატელეფონო ქსელში ჩართულია უსახელო, სპათაგორი, ხოჯი.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

სახელოვანი დინასტია

24 იანვარს 75 წელი შეუსრულდა ჩვენს თანამემამულეს, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორს, მედიცინის მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, ცაგერის რაიონის საპატიო მოქალაქეს ლევან იოსების ძე ჩარკვიანს.

ჩარკვიანების გვარი უძველესია ლეჩხუმში. მისი ყველა წევრი დიდი პატივისცემით სარგებლობდა. ჩარკვიანები ძირითადად ცხოვრობდნენ სურმუშში, ჩხუტელსა და ცაგერში.

იოსებ ჩარკვიანის ოჯახი ოციან წლებში გადავიდა ბათუმში საცხოვრებლად. გადავიდა და კიდევაც დაიმკვიდრა ღირსეული სახელი ამ ქალაქში. ვისაც ოდესმე ბათუმთან რაიმე შეხება ჰქონია, არ შეიძლება არ სცოდნოდა ცნობილი მკურნალის იოსებ ჩარკვიანის სახელი. ამ კაცის სიკეთეზე ლეგენდები დადიოდა. იგი იყო სიკეთის, კეთილშობილების, გულისხმიერების განსახიერება. ამავ დროს მშობლიურ ლეჩხუმსაც არ ივიწყებდა და ხშირი სტუმარი იყო. სწორედ მის სახლთან ანაა დაკავშირებული სახელოვანი დინასტიის შექმნა. შვილმა ლევანმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი დაამთავრა და მას შემდეგ მშრომელთა ჯანმრთელობის სადარაჯოზეა. დღეს ბატონი ლევანი ცნობილი ონკოლოგია. საქართველოში ონკოლოგიის, ამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის, დამაარსებელი. ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი

(დასასრული მე-3 გვერდზე)

საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება

ვ. ბენიძის ლირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

1998 წლის 18 იანვარი ქ. თბილისი

კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში შეტანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემიის სასწავლო-აღმზრდელობითი განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი ვალერიან ბენიძე დაჯილდოვდეს ლირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

წმინდა მაქსიმეს ხსენების დღე

დღეს, 3 თებერვალს მურის წმიდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის საყდარში აღინიშნება დიდი ფილოსოფოსისა და მოაზროვნის, საეკლესიო მამის წმიდა მაქსიმე აღმსარებლის ხსენების დღე.

ცაგერის რაიონის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ლეჩხუმის კულტურისა და ხელოვნების ამაგდარი მოამაგე, დრამატურგი, რეჟისორი და მსახიობი ბორის (ბორია) აკაკის ძე ხეცურიანი და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

კულტურის განყოფილების, სარაიონო კულტურის სახლის, ცენტრალური ბიბლიოთეკის, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, სამხატვრო და სამუსიკო სკოლების თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ქართული კულტურის დიდი მოამაგის, დრამატურგის, რეჟისორისა და მსახიობის ბორის აკაკის ძე ხეცურიანის გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

რაიონული გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქციის, რაიონული სტამბის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რაიონული გაზეთის ყოფილი პასუხისმგებელი მდივანი

ბორის აკაკის ძე ხეცურიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ამ დღეებში

ამ დღეებში იმერეთის მხარეს იწვია პარლამენტის თავმჯდომარე ბატონი ზურაბ ჟვანია, რომლის ვიზიტის მიზანი იყო ეკონომიკური განვითარების მეორე ეტაპის დასაწყისი და ამ თვალსაზრისით იქ არსებული მდგომარეობის გაცნობა.

პარლამენტის თავმჯდომარემ, პარლამენტის წევრებმა, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა დათვალიერეს რეგიონის წამყვანი საწარმოები. მონაწილეობა მიიღეს თათბირში, რომელშიც მონაწილეობდა იმერეთის რეგიონის ჟტივი.

ბორის აკაკის ძე ხეცურიანი

ბორის აკაკის ძე ხეცურიანი.. მეხივით დაატყდა ლეჩხუმს მისი უეცარი დაღუპვის ამბავი, გონს ვერ მოვეგეთ, რომ ეს მთასავით კაცი, სიცოცხლით სავსე და ჩახმახივით შემართული, ისე ვარსკვლავივით მოწყდა ნათელს, რომ სიკვდილზე გაფიქრებაც ვერ მოასწრო...

ბორის ხეცურიანი დაიბადა 1930 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ქვედა ცაგერში. მამა აკაკი ხეცურიანი, საკოლმეურნეო თეატრის დირექტორი, დიდად ერუდირებული კაცი იყო, ნიჭიერი ხელოვანი. იგი პირდაპირ სცენიდან წავიდა თავის კოლეგებთან ერთად დიდ სამამულო ომში და აღარ დაბრუნებულა.

უზადო ნიჭი და ხელოვნებისადმი უსაზღვრო სწრაფვა გენეტიკურად გადმოეცა შვილს. ბორია სკოლაშივე გამოირჩეოდა ცინცხალი გონებით, წერდა, ხატავდა, აშენებდა, ჩხირკედელაობდა, ოცნებობდა მსახიობობაზე, რეჟისორობაზე...

1949 წელს, ცაგერის საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, ჩაერიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ ლეჩხუმშია, ერთი დღეც არ შეეძლო ულეჩხუმოდ, ერთი სწავლის დასრულების შემდეგ იწყება ბ. ხეცურიანის-ნიჭისა და უნარის გამოვლენის წლები: მუშაობდა კომკავშირის ცაგერის რაიკომის ინსტრუქტორად, მეორე მდივნად, ცაგერის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორად, სარაიონო კულტურის სახლის დირექტორად, ადგილობრივი რადიოგადაცემის რედაქტორად, რაიონული გაზეთის რედაქციაში განყოფილების გამგედ, პასუხისმგებელ მდივნად.

1971-1979 წლებში იგი კულტურის განყოფილების გამგეა. ეს იყო მისი შემოქმედებითი პოტენციალის ინტენსიური გამოვლენის წლები. გარდა იმისა, რომ იყო კულტურის, ამ უზარმაზარი სფეროს ნიჭიერი ორგანიზატორი, იყო აგრეთვე ნიჭიერი დრამატურგიც. თეატრის რეჟისორიც, მსახიობიც, ფოლკლორული სიმღერების შემკრებ-დამმუშავებელიც.. ბ. ხეცურიანის ცალკმა ეკუთვნის ისტორიული პიესა. „მზის ამოსვლამდე", რომლის დადგმაც მანვე განახორციელა ცაგერისა და მეზობელი რაიონების სახალხო თეატრებში. მან განახორციელა ნ. დუმბაძის „თეთრი ბაირაღების" დადგმა ცაგერის სახალხო თეატრის სცენაზე (სადაც თვითონვე თამაშობდა ლ. დევდარიანის როლს). იყო ნიჭიერი მსახიობი, მუსიკის მცოდნე, აქტიური წევრი და ხელმძღვანელი თვითმოქმედი მხატვრული თუ ფოლკლორული ჯგუფებისა და ანსამბლების.

მისმა მსახიობურმა ნიჭმა ქართულ კინემატოგრაფისტთა ყურადღება მიიქცია. ბ. ხეცურიანი გადაიღეს გ. კანდელაკის ფილმში „უბედურება", სადაც მთავარ როლს ასრულებდა, მონაწილეობდა აგრეთვე მოკლემეტრაჟიან თუ დოკუმენტურ ფილმებში.

ბ. ხეცურიანი ბოლო წლებში მუშაობდა ცაგერის კინოფიკაციის დირექტორად, საიდანაც დამსახურებულ პენსიაზე გავიდა.

იგი ყოველთვის იყო სოფლის ქომაგი და ფარი, მისი ჭირისა და ლხინის თანაზიარი.

ჰქონდა საკუთესო ოჯახი, მის გემოვნებით ნაშენ კარმიდამოში სიყვარული სუფევდა. სიყვარული ცოლშვილის, საფიცარი შვილიშვილების, სიყვარული მეზობლის, მოკეთის, ნაგობრის...

ამ ბოლო ათწლეულებში ლეჩხუმში არა ერთი ლამაზი ტრადიცია დამკვიდრდა, არა ერთი ლამაზი ღონისძიება დაინერგა, რომელთა მონაწილე, სულისჩამდგმელი და ორგანიზატორთაგანი თავად იყო. ამბა. წარმოვიდგინოთ „ცაგერობა", „თბილისობაში" ჩვენი მონაწილეობა, „ლადობა", თუნდაც ნებისმიერი სხვა ღონისძიება ბორიას გარეშე, მისი „შეექანებისა" და წვლილის გარეშე.

ამიტომ დაგვიტოვე უკმარისობის საოცარი გრძნობა, გრძნობა იმისა, რომ სიცოცხლეში ვერ მოგეფერეთ, ვერ მოგაგეთ ის პატივი, რასაც იმსახურებდი.

დადგა დრო გამომშვიდობებისა. გული გვეწურება, რომ ჯერაც დაუხარჯავი მიდიხარ ჩვენგან, ჯერაც ბევრი დაგრჩა სათქმელი. მაგრამ ესეც განგების ნებაა ალბათ, რომ სიცოცხლით გაუმაძღარი წასულიყავ ამა საწუთროდან, რომ არავის ენახე მუხლჩაჩოქილი, სუსტი და შეჭირვებული.

მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო! შენს კაცობასა და ხსოვნას დავიწყება არ უწერია. თაობებს გადაეცემა, რომ ბორია ხეცურიანი ლეჩხუმის კოლორიტი იყო.

თედო ისაკაძე, დავით შაქარაშვილი, ზაზა დვალი, ანზორ გურჯანაძე, ვალერი გიორგობიანი, რეზო ნოდარიშვილი, გურამ გურდილაძე, შალვა ჯაფარიძე, დავით გაბაშვიძე, გურამ ვაჩაძე, დავით ლიპარტელიანი, კუშნი გუგავა, კარლო კვირიკაშვილი, მელსი ყურაშვილი, რეზო მურცხვალაძე, ნუგზარ ტვილდიანი, დავით სანთელაძე.

ჩემო ბორია!

დადგა დრო დამშვიდობებისა. ახლა კი მაინც გაგიმხელ ერთ საიდუმლოს: რამდენი მიფიქრია, გამეკეთებინა ერთი ხელრიანი მასალა მაინც (თუ ამას შეეძლებდი) შენზე—როგორც ლეჩხუმის ერთ-ერთ კოლორიტულ ფიგურაზე. ნაღდად კი იყავი, ბიჭო, ლეჩხუმის კოლორიტი: ეერით, დაუდეგარი ხასიათით, ტრადიციებისადმი სიყვარულით, პურით, მარილით, მოუხეშავი კვიმატი ენით, საოცარი შეფარული იუმორით, თავისებური ბუზღუნა ბუნებით. დღემდე ვერ შევასრულე და ვერც ამ წუთში ვასრულებ ნაფიქრს, რადგან ისე უცბად ჩაქრი, რომ სამომავლო საფიქრალი დროებით ყველას გაუქრე. ისე კი იცოდე: იქნებ მიტი შეეძლო გითხრა, ანდა ერთს მაინც გავაკეთებ: დავბეჭდავ შენს სურათს ახლადგამოსულ თავისუფალ გაზეთში და ზედ წავაწერ: „იგი ხომ ლეჩხუმის ნამდვილი კოლორიტული ფიგურა იყო და ასე უმოწყალოდ დააკლდა სამეგობროსა და მის მიერ შექმნილ ფუძეძლიერ ოჯახს".

გახსოვს, ბიჭო?! პიონერთა სახლში შენი ხელით მოწყობილ ლაბორატორიაში დაიწყე ცაგერის სახალხო თეატრის ისტორიის მასალების ბეჭდვა: ფურცელ-ფურცელ აგროვებდი მოგონებებს, რეცენზიებს, ესაუბრებოდი თეატრის ცხოვრების მომსწრეებსა და განახორციელებულ დადგმათა მნახველებს. როგორც იტყვიან—რამდენი სცენის მტვერი ჩაგიყლაპავს, რამდენი სახე და როლი შეგიქმნია. შენი მეორე ცხოვრება თითქმის დღემდე თეატრი იყო: თუ არ თამაშობდი, მასალებს აგროვებდი. ქალამიც კი მოსინჯე დრამატურგიაში და საკმაოდ სერიოზულადაც. ამას წინათ, როცა თეატრის იუბილესათვის ემზადებოდი—საიდუმლოდ გამანდე: იცი, რა უნიკალური მასალა მოვაგროვეო! დაიწყე გამოქვეყნება მეთქი. შეგთავაზე. არაო, მითხარი, სასურველ სისტემაში ყველაფერი ვერ მოვიყვანეო.

დაგრჩა, ჩემო ბორია, ბევრი რამ ეთქმელი, მაგრამ ცხოვრება ყველაფერს იტყვის და დაგიფასებს.

მშვიდობით! მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა.

აკაკი ჩიქოვანი.

ბორია! ყველასთვის მოულოდნელი იყო შენი ნაადრევი წახვლა ამ ქვეყნიდან. მითუმეტეს შენი კლასელებისთვის, მეგობრებისთვის.

მოსწავლეობის დროსაც ყველასაგან გამოირჩეოდი სიმალლით, „ჯიუტი" ხასიათით, თითქმის ყველა კარგი თუ „ცუდი" ღონისძიების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყავ. მეგობრებს ინსტრუქტორად, მეორე მდივნად, ცაგერის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორად, სარაიონო კულტურის სახლის დირექტორად, ადგილობრივი რადიოგადაცემის რედაქტორად, რაიონული გაზეთის რედაქციაში განყოფილების გამგედ, პასუხისმგებელ მდივნად.

1971-1979 წლებში იგი კულტურის განყოფილების გამგეა. ეს იყო მისი შემოქმედებითი პოტენციალის ინტენსიური გამოვლენის წლები. გარდა იმისა, რომ იყო კულტურის, ამ უზარმაზარი სფეროს ნიჭიერი ორგანიზატორი, იყო აგრეთვე ნიჭიერი დრამატურგიც. თეატრის რეჟისორიც, მსახიობიც, ფოლკლორული სიმღერების შემკრებ-დამმუშავებელიც.. ბ. ხეცურიანის ცალკმა ეკუთვნის ისტორიული პიესა. „მზის ამოსვლამდე", რომლის დადგმაც მანვე განახორციელა ცაგერისა და მეზობელი

როგორ დაგვაკლდი

ორგანიზატორი იყავ. გაკვეთილზე თუ შესვენებისას რაღაცას და ვიღაცას ხატავდი, მეგობრულ შარჟებს აკეთებდი. რაღაცაზე ოცნებობდი...

ბედმა თუ ცხოვრებამ ერთად მუშაობა გვარგუნა ჯერ კომკავშირის რაიკომში და შემდეგ რაიონული გაზეთის რედაქციაში. ყოველთვის სიახლისკენ ისწრაფვოდი. 1967-68 წლებში გაზეთში შემოიღე რუბრიკა: „ანკეთა კაკანათელი", რომელშიც სასტიკად ამათრახებდი ნეგატიურ მოვლენებს, პიროვნებებს, ბეჭდავდი შარჟებს, ფელეტონებს და მკითხველსაც ძალზე მოსწონდა. შენ არა მარტო ჟურნალისტი, ფოტოხელოვანიც იყავ. ბრწყინვალედ ფლობდი ამ საქმეს. შენი გადაღებული ფოტოები და ფოტოეტიუდები ხშირად იბეჭდებოდა გაზეთში. შენი გაკეთებული ფოტოსტენდი „ესენი აკეთებდნენ გაზეთს" დღესაც ამშვენებს შენი და ჩვენი გაზეთის რედაქციას.

ხშირად უჩიოდი გულს. ხმარობდი წამლებს ერთხელ პროფკავშირებს სპეციალურად გამოვათხოვნინეთ გუდაუთის სანატორიუმის საგზური. შენც დიდი სიხარულით წადი, მაგრამ ერთი კვირის თავზე ისევ გამოგვიცხადე რედაქციაში. გაგვიკვირდა, თქმაც არ გვაცალე. ისე გვითხარ: 24 დღე სანატორიუმში ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ რა გამაჩერებდაო. არ იცოდი თავის მოვლა, არ უფრთხილდებოდი ჯანმრთელობას.

ბორია! თავის მოსაწონებელი ბევრი გქონდა: ულალატო მეგობრები, მშვენიერი ოჯახი, ვაჟკაცი შვილი, რძალი, შვილიშვილები. ბუნებამ, ბედმა შეგახვედრა ულუფუნა ჯიქიას, ძვირფას მეუღლეს. იგი იყო არა მარტო მეუღლე, არამედ სულიერი მეგობარი, შენი სიცოცხლის დარაჯი.

მშვიდობით ძმაო, ძმაო და მეგობარო!

ნოდარ ნემსაძე.

ჩემო უფროსო ძვირფასო მეგობარო, ბორია! დაბერება [illegible] ომ დღეს [illegible] ულმა [illegible] ულმა [illegible] ულმა

გიგო მუშკუდიანი: რამდენიმე წამში შეგიძლიათ მსოფლიოს ნებისმიერ ქალაქს დაუკავშირდეთ, რაც შეეხება ახლო სოფლებთან კავშირს...

(დასასრული)

სატელეფონო ქსელში გამოიცვალა ასევე კაბელები ლაილაშში, ღუშიც გაკეთდა სატელეფონო კავშირი. ალპანაში 20 ნომერი ჩაირთო. ტვიშთან ალპანით აღდგენილია კავშირი.

სამწუხაროდ, კაბელების ქორდობა ისევ და ისევ გრძელდება, რაც ძალზე ართულებს ჩვენს მუშაობას. რამდენიმე ხნის წინ აქ, ცაგერის ტერიტორიაზე მოიპარეს კაბელი, მარტო შარშან ამის ათეულობით ფაქტია, რასაც ადგილი ჰქონდა ჩხუტელში, ცაგერში, ქვედა ცაგერში და სხვაგან.

შარშან „სიმენსის" (გერმანული ფირმაა) ორი არხი დამონტაჟდა ჩვენთან, რომლის საშუალებით რამდენიმე წამში შეიძლება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას ან ქალაქს დაუკავშირდე. შეიძლება აქ, ახლო-მახლო სოფლებთან კავშირი უფრო გაჭირდეს. ვიდრე ამერიკაში ნებისმიერი ნომრის დაკავშირება.

ჩვენი შემოსავალი საბონენტო და სალაპარაკო გადასახადია. საბონენტო გადასახადის ამოღება ძალზე გვიჭირს. ჩვენის მხრივ ყველაფერს ვერ ვაკეთებთ ამისთვის, წესი კი ასეთია ერთ თვეში ვერ გადაიხდის ორგანიზაცია იქნება ის თუ აბონენტი, ვაფრთხილებთ, შემდეგ კი ვუთიშავთ ტელეფონს, თუ კიდევ ერთი თვის მანძილზე არ გადაიხდის, საერთოდ მოეხსნება ტელეფონი.

ტელეფონის დადგმის გადასახდელი თანხა ასეთია—ჩვეულებრივი აბონენტისთვის 30 ლარამდეა, საბიუჯეტო ორგანიზაციისთვის—60 ლარამდე, სამეურნეო ორგანიზაციებისთვის კი—260 ლარი. საბონენტო გადასახადი კი ჩვეულებრივი აბონენტისთვის თვეში 70 თეთრია, საბიუჯეტო ორგანიზაციისთვის 1,5 ლარი, სამეურნეო ორგანიზაციისთვის—თვეში 10 ლარი. ასე რომ, გადაიხდი? გექნება, არ გადაიხდი და არ გექნება—ესაა დღეს მოქმედების პრინციპი.

ჩვენი მუშაობის ნაკლი ისაა, რომ ამას ვერ ვაკეთებდით აქამდე. დაახლოებით 2000 ლარამდე ვალი აქვთ საბიუჯეტო ორგანიზაციებს, 1000 ლარამდე—სამეურნეო ორგანიზაციებს, 1000 ლარამდე კი ინდივიდებს. საბონენტო ვალი აქვთ სოფლის გამგებლებსაც.

არადა ჩვენც რა ვქნათ, ფინანსურად არა ვართ განებივრებული, ყოველთვიურად ჩვენი გადასახადი 1500 ლარს შეადგენს, აქედან ორი მესამედი ბიუჯეტში შედის. სულ ჩვენს ქსელში დასაქმებულ 59 მუშაკს ხომ ხელფასი უნდა.

თუ გადასახადი ვერ ამოვიღეთ, მუშაობას აზრი არა აქვს. თუკი აბონენტი ცოტა იქნება, ის, ვისაც გადახდის საშუალება ექნება თუ კვარტალში ახდიდა 2 ლარს, გადაიხდის 10 ლარს.

აი ის, რაც ყველაზე მეტად გვაწუხებს. ალბერტ ინანულიც ყველაზე მეტად გასული წლიდან გადმოგვყვა.

ბატონ ფრიდონ ინჯიას ლეჩხუმთან სისხლის მიერი ნათესაობა აკავშირებს, როგორც თვითონ ბრძანებს დედა ჰყავს ლეჩხუმელი სილაგაძე, სისხლი სისხლია და მიტომაც მსიამოვნებს ლეჩხუმელებთან შეხვედრაო. ამტომ ჩვენც იმედით შევყურებთ მომავალს, გრანდიოზული საშუშაოებია ჩვენი მხარის მოსახლეობისთვის გათვალისწინებული, კერძოდ, უახლოეს ხანში მოდერნიზებული სატელეფონო სადგური იქნება ცაგერში, დამონტაჟდება დამასისტემის სადგური. მთებში ძვირად ღირებული პატარა გადამცემები დამონტაჟდება და ტელევიზიის პირველი არხის გადაცემების გარეშე არ დარჩება რაიონის არც ერთი სოფელი.

ახალოვანი დინასტია

(დასასრული)

ინსტიტუტის განყოფილების ბაზაზე. ჩამოყალიბდა ქალის სასქესო ორგანოების კიბოს ეპიდემიოლოგიის შემსწავლელი ცენტრი, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია გინეკოლოგიური ონკოდაავადებების გამოვლენის, მათი გამომწვევი მიზეზების შესწავლისათვის, ჩამოაყალიბა 10-წლიანი პროგრამა, დაამყარა კავშირი მსოფლიოს ცნობილ ონკოლოგიურ ცენტრებთან.

დღეს ბატონი ლევანის ფაქტი ექიმთა სახელოვანი დინასტიაა. ვაჟიშვილი თენგიზი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორია. იგი მამის გვერდში დგას და მისივე მარჯვენა ხელია ოპერაციებისა თუ სხვა საქმიანობის დროს. ქალიშვილი ნინოც ექიმია, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის ენდოკრინოლოგიის კათედრის დოცენტი. შვილიშვილი, ნინოს ვაჟი— ზაზა ჯერ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტია, მაგრამ ბაბუის გვერდით დგას და დამოუკიდებლად აკეთებს ოპერაციებს. თენგიზის ვაჟიშვილევანიც ექიმი იქნება, იგი სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტია. ამ დინასტიის ღირსეული წევრია ოჯახის უფროსი დიასახლისი, ბატონ ლევანის მეუღლე მეძუნე უსტიაშვილი, იგი მეუღლის კოლეგაა—ექიმი გინეკოლოგი.

ბატონ ლევანს ბევრი რამ აქვს საამაყო. რესპუბლიკის ყველა კუთხიდან მიდიან მასთან სამკურნალოდ, ვინ მოთვლის, რამდენი ქალისთვის გაუკეთებია ოპერაცია და სიცოცხლე უჩუქებია.

ბატონი ლევანი საუკეთესო ადმხრდელი, მასწავლებელი და ხელმძღვანელია. იგი თავის ცოდნას, გამოცდილებას უშურველად გადასცემს ახალგაზრდა სპეციალისტებს. მისი ხელმძღვანელობით 26 სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციაა დაცული.

ბატონი ლევანი მშობლიური კუთხის დიდი მოყვარულია. ხშირად სტუმრობს ლეჩხუმს. ამიტომ იყო, რომ გასულ წელს სახალხო დღესასწაულ „ლადოობის" დღეებში მას ცაგერის რაიონის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

ვუსურვებთ ბატონ ლევან ჩარკვიანს დაბადებიდან 75 წლისთავს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, ბედნიერებას ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ.

სპორტი

შაში, ნარდი.

27 იანვარს ცაგერის რაიონული გამგეობის სპორტკომიტეტის ინიციატივით ჩატარდა რაიონის პირველობა შაში ვაჟთა შორის.

შეჯიბრებამ, რომელიც წრიული სისტემით მოეწყო საუკეთესო შედეგი აჩვენა განათლების განყოფილების წარმომადგენელმა მერაბ ახვლედიანმა, რომელმაც მოაგროვა 7 ქულა და პირველი ადგილი დაიკავა.

მეორე ადგილზე 6,5 ქულით გამოვიდა ლასურიაშელი გოჩა მუშკუდიანი, ხოლო მესამე ადგილი წილად ხვდა ჯემალ საღინაძეს (მრავალდარგოვანი კოლეჯი)

ნარდში— 30 იანვარს გამართულ რაიონულ პირველობაზე 22 მონაწილეს შორის საუკეთესო 8 მონაწილემ იასპარეზა მეოთხედფინალში. ნახევარფინალში გამარჯვებულები შეხვდნენ ერთმანეთს.

ნახევარფინალურ შეხვედრებში გამარჯვებულებმა ზ ქრო საღინაძემ და თემურ ახვლედიანმა ითამაშეს I-II ადგილისათვის. დამარცხებულებმა გოჩა და ნოდარ მუშკუდიანებმა III IV ადგილებისთვის იასპარეზეს.

I ადგილზე გამოვიდა ცაგერელი ზაქრო საღინაძე, II ადგილი წილად ხვდა ქვ. ცაგერელ თემურ ახვლედიანს, III ადგილი მოიპოვა ოყურეშელმა ნოდარ მუშკუდიანმა.

შაშსა და ნარდში რაიონული პირველობის გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გამოსული მოთამაშეები დაჯილდოვდნენ სპორტკომიტეტის შესაბამისი ხარისხის დიპლომებით და სპეციალური პრიზებით.

გ. კვირიკაშვილი,

რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

გზა და ტრანსპორტი

შარშან ავარიით არავინ დაღუპულა

შინაგან საქმეთა ცაგერის რაიგანყოფილების საგზაო პოლიციის სამსახური რაიონის 775 კვადრატულ კილომეტრ ფართობზე გამავალ 290,7 კილომეტრ გზას ემსახურება, აქედან 82,2 კილომეტრი რესპუბლიკური და 208,5 კილომეტრი ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს, ამასთან ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე ქუჩებს...

ცაგერის საგზაო პოლიციის სამსახურს გასულ, 1997 წელს გარკვეული პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი მუშაობა აქვს გაწეული რაიონის ტერიტორიაზე ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველსაყოფად. რის შედეგად გამოვლენილია 576 საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევი მძღოლი, მათ შორის: ავტომანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის—15, ტექნიკურ დათვალიერებაზე გატარებული ავტომანქანის მართვის—153, ტექნიკურად გაუმართავი ავტომანქანის მართვის—116, მართვის მოწმობის გარეშე ავტომანქანის მართვის—6, მგზავრთა არასწორი გადაყვანის—35, საგზურის გარეშე ავტომანქანის მართვის—18, სხვადასხვა დარღვევის—247 ფაქტი.

შარშან ცაგერის საგზაო პოლიციის მიერ ავტოტრანსპორტის რეგისტრაციის, საგზაო ნიშნების, ტექნიკური დათვალიერების, ჯარიმისა და სხვა მომსახურებისათვის ამოღებული და შეტანილია 7685 ლარი.

გასული წელი აღსანიშნავია იმით, რომ რაიონის ტერიტორიაზე ავარიით არავინ დაღუპულა და ავტოსაგზაო შემთხვევა მხოლოდ ერთია დაფიქსირებული, რის შედეგად მხოლოდ ერთმა მოქალაქემ მიიღო დაზიანება.

გასულ წელს, ზაფხულში ჩვენს რაიონში ჩატარდა რამდენიმე დიდი დღესასწაული, იყო ხალხმრავლობა, რადგან ზოგი დღესასწაული რესპუბლიკური მნიშვნელობისაც იყო, ამ დროს დიდ დატვირთვას განიცდიდნენ ჩვენი მუშაკები, ფხიზელი თვალითვალი და გულით აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში.

შინაგან საქმეთა ცაგერის საგზაო პოლიციის სამსახურს მუშაობაში მრავალი ხელისშემშლელი პირობა აქვს, რაც ძირითადად გამოწვეულია მთელ ქვეყანაში გამეფებული ეკონომიური კრიზისით. სამსახურს არ გააჩნია გზებზე პატრულირების არავითარი პირობა, არ გვყავს ტრანსპორტი, არ გაგვაჩნია საწვავ საცხები მასალები, მაგრამ მიუხედავად ამისა ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ჩვენი რაიონის ტერიტორიაზე ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობა უზრუნველვყოთ.

გ. სილაგაძე,

საგზაო პოლიციის ადმინისტრაციული პრაქტიკის ინსპექტორი, პოლიციის კაპიტანი.

საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის საგზაო-საგადასახადო სამმართველოს ბრძანება საგზაო გადასახადების ტარიფების შესახებ

1998 წლის 1 იანვრიდან ავტო სატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადის ამოღება განხორციელდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დაწესებული განაკვეთებით, შემდეგი ოდენობით:

ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახეობანი	საგზაო-გადასახადის ოდენობა თითოეულ ცხენის ძალაზე ლარებში
მსუბუქი ავტომობილები	0,25
ავტობუსები 12-მდე ადგილით (ჩათვლით)	1,0
ავტობუსები 13-30 ადგილით	1,3
ავტობუსები 30-ზე მეტი ადგილით	2,0
სატვირთო ავტომობილები ტვირთამწეობით 1 ტონამდე ჩათვლით	0,4
სატვირთო ავტომობილები ტვირთამწეობით 1-დან 3 ტონის ჩათვლით	0,6
სატვირთო ავტომობილები ტვირთმწეობით 3-დან 10 ტონის ჩათვლით	1,3
სატვირთო ავტომობილები ტვირთამწეობით 10-დან 20 ტონის ჩათვლით	2,0

გადასახადი ირიცხება სახელმწიფო საგზაო-ფონდში.

ტექნიკური დათვალიერება არ განხორციელდება გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გარეშე.

გადასახადს კრებს საგზაო დარგის მართვის ორგანოს მიერ შექმნილი სამსახური შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად.

თანხის გადახდა ხდება როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით „აგრობანკის“ ცაგერის ფილიალში, სადაც გახსნილია სპეც ანგარიში.

გათვალისწინებულია საგადასახადო შეღავათები სხვადასხვა კატეგორიის ინვალიდების მიმართ.

საგზაო საგადასახადო სამმართველოს უფროსი ინსპექტორი
ცაგერის რაიონში მ. გოგბიძე.

გილოცავთ

ლილი ლიპარტელიანს

სულითა და გულით მოგილოცავთ ირმას ბედნიერებას. შენს გვერდით ვართ ამ დიდ სიხარულში, მუდამ გაგვახარებს შენი და შენი ოჯახის-გამრავლება.

რაიონული სტამბის, გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქციის კოლექტივი.

ნოდარ მდივანს

გილოცავთ ღირსების ორდენით დაჯილდოებას, გისურვებთ ბედნიერებას და სიხარულს ოჯახში.

დარეჯან გელოვანი.

ხსოვნა

ბუხუტი მიხეილის ძე ჩხეტიანი

გარდაიცვალა ომისა და შრომის ვეტერანი, თანასოფლელებისა და ნაცნობ-მეგობრებისთვის საყვარელი კაცი ბუხუტი მიხეილის ძე ჩხეტიანი.

იგი წლების მანძილზე კეთილსინდისიერად ემსახურებოდა ღვირიშის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმას. მისი დაუღალავი შრომით გარკვეული წვლილი შეჰქონდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საქმეში. იყო საქმიანი, ერთგული, უღალატო კაცი.

75 წელი გაატარა მან თანასოფლელთა გვერდით. დატოვა ძლიერი და მრავალრიცხოვანი ოჯახი—მეუღლე, ოთხი შვილი, შვილიშვილები და შვილთაშვილები. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება თანასოფლელთა გულში.

ბუხუტი ჩხეტიანი ოჯახთან ერთად დააკლდა სოფელს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

სოფელ ღვირიშის მცხოვრებნი.

მეუღლე ეუჟენა, დედა ოფელია, შვილი მერაბი, რძალი რუსუდან ალავიძე, შვილიშვილები სალომე, თამუნა, რატი, რძლები რაისა, მელანო, ძმისშვილები დათო, ნანა, სიძე დავით გუგავა, ძმისშვილისშვილები ანა, ნინო, დეიდები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბორის აკაკის ძე ხეცურიანი

დაკრძალვა 3 თებერვალს, სამშაბათს, ქ. ცაგერში.

მეუღლე ცუცია, შვილები ნაზიკო, კლარა, ზაური, რძალი ნანა კოპალიანი, სიძეები აქვსენტი გოლეთიანი, მარსელ შარიქაძე, თამაზ ჩაკვეტაძე, შვილიშვილები როზა, გოგი გოლეთიანები, ლერი შარიქაძე, შვილთაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ალექსანდრე იოსების ძე სილაგაძე.

ლაშა ბურჯალიანი, ამირან ქვირიკაშვილი, გოგი გოლეთიანი ოჯახებით იუწყებიან

ბორის ხეცურიანის

გარდაცვალებას.

ცაგერის საშუალო სკოლის 1949 წლის კურსდამთავრებულები ოთარ სილაგაძე, ნოდარ ნემსაძე, გურამ ჩარკვიანი, დავით დავითულიანი, ვლადიმერ გიორგობიანი, ირაკლი ტვილდიანი, ნაზი ლეთოდიანი, ლამარა ქაჭკაჭაშვილი, ლოლა ხაბულიანი იუწყებიან თანაკლასელის

ბორის ხეცურიანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ჯოკია, ნინა, მალხაზ, ნინო, ნატა, ნენე, გიორგი შკუბულიანები იუწყებიან

ბორის აკაკის ძე ხეცურიანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭო იუწყება

იორამ ირაკლის ძე ომანაძის

გარდაცვალებას.

ცაგერის საშუალო სკოლის 1974 წლის კურსდამთავრებულები სამძიმარს უცხადებენ მერაბ ხეცურიანსა და რუსუდან ალავიძეს მამისა და მამამთილის

ბორის აკაკის ძე ხეცურიანის

გარდაცვალების გამო.

დათო ქაჭკაჭაშვილი ოჯახით იუწყება

ბორის აკაკის ძე ხეცურიანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

კულტურის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ძაძუ, რუბენ კოპალიანებს მაზლისა და ძმის

ნოდარ კოპალიანის

გარდაცვალების გამო.

პიერ ფუტკარაძე, ამირან ხეცურიანი, იზოლდა ქაჭკაჭაშვილი, ნელი ლეთოდიანი ოჯახებით იუწყებიან კინოფიკაციის ყოფილი დირექტორის

ბორის აკაკის ძე ხეცურიანის

გარდაცვალებას.

ნოდარ ნემსაძე, ჯიბილო მიქაძე თანაუგრძნობენ ლამარა ჩაკვეტაძეს მეუღლის

იორამ ომანაძის

გარდაცვალების გამო.

მიხეილ ბაიდოშვილი, ნინო კოპალიანი იუწყებიან

ბორის ხეცურიანის

გარდაცვალებას.

შოთა ახვლედიანი ოჯახით თანაუგრძნობს ეუჟენა ჯიქიას მეუღლის

ბორიას

გარდაცვალების გამო.

ზუბის საშუალო სკოლის პედკოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის პედაგოგი

იორამ ომანაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ლამარა, შვილები მედიკო, ლეონიდ, ალეკო, სიძე ავთო ხმელიძე, შვილიშვილები ხათუნა, ხვიჩა ხმელიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

იორამ ირაკლის ძე ომანაძე.

თამარ, ტიტიკო, შოთა, სოსო კოპალიანები ოჯახებით იუწყებიან

ბორის ხეცურიანის

გარდაცვალებას.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები იუწყებიან

ბორის ხეცურიანის

გარდაცვალებას.

ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმოს თანამშრომლები იუწყებიან ამავე საწარმოს ბუღალტრის

ჯიმშერ ლიპარტელიანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ცაგერის საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ეუჟენა ჯიქიას მეუღლის

ბორის აკაკის ძე ხეცურიანის

გარდაცვალების გამო.

ეორა, ლაშა ლეთოდიანები, ნოდარ, გელა საღინაძეები, ლუდვიკ ხეცურიანი, გრიშა შკუბულიანი, რეზო გოგიძე, მიშა ფოჩხიძე, შოთა კოპალიანი, კარლო ჩაკვეტაძე, ნუშარ ხვადაგიანი, მურთაზ ჩარკვიანი, სოზარ, თამაზ ბენდელიანები, დემურ ჩაკვეტაძე, ანზორ ტვილდიანი, ჯუმბერ ზაურ საღინაძეები თანაუგრძნობენ ოჯახს

ბორის ხეცურიანის

გარდაცვალების გამო.

დამფუძნებელი—რედაქციის კოლექტივი

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

გაზეთი მუშაობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორთა აზრს შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე.

რედაქციის მისამართი: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56 ტელეფონი: 22-31.

ბეჭდავს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ პ ო ლ ი გ რ ა ფ ი ს ტ ი“ 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56